პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 123 (3607)

25 ივნისი. 1968 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ვ. კურენცოვი, გ. სელიცკი...




ლენინგრადი, 24 ივნისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ქვესაშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრების დაწყების წინ სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს ა. ვორობიოვს გკითხეთ, რა აზრის იყო გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვების შანსებზე. მან გაიღიმა და გვიპასუხა: თუ დღეს ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, მძიმე წონის ძალოსანთა ასპარეზობის შედეგების მიუხედავად, გუნდური პირველობა განაღდებული გვექნება.

როცა ქვესაშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრება დაიწყო, მხოლოდ მაშინ მივხვდი ვორობიოვის სიტყვების ჭეშმარიტებას. ამ წონაში ორი საბჭოთა ათლეტი გამოდიოდა — მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ვ. კურენცოვი (მოსკოვი) და ლენინგრადელი ვ. სმირნოვი, პოლონელებს კი ქვესაშუალო წონაში არც ერთი სპორტსმენი არ გამოუყვანიათ. ასე რომ, პირველობისთვის ბრძოლა ჩვენმა ძალოსნებმა გააჩაღეს.

ამ საღამოს დამყარდა პირველი მსოფლიო რეკორდი, რომლის ავტორია კურენცოვი. დამატებით ცდაზე, როცა შტანგაზე 161 კგ იყო, სასიტყვისო ამბავი მოხდა: ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კ. ნაზაროვი (სსრ კავშირი) წამოდგა და გასახდელისკენ წავიდა. მან ვორობიოვს უთხრა, შტანგის წონა 400 გრამით მეტიაო. ვორობიოვმა კურენცოვს გადახედა. კურენცოვმა გაუღიმა და... შტანგისკენ გაეშურა.

საბჭოთა ძალოსანმა სათუთი სიმსუბუქით აჰქიმა ეს წონა და თავისივე რეკორდი ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა.

თუ მსუბუქი წონის ძალოსანთა ასპარეზობის დროს მედლები მხოლოდ პოლონელებმა გაინაწილეს, ამჯერად ოთხივე მედალი კურენცოვმა დაისაკუთრა: აჰქიმვა — 152,5, ატაცი — 135, აკვრა — 175, სამჭიდი — 462,5 კგ.

კურენცოვი შეეცადა მეორე მსოფლიო რეკორდი დაემყარებინა, ამჯერად, აკვრაში — 185 კგ (2 კგ-ით მეტი თავისივე მსოფლიო რეკორდზე). ორჯერ მკერდზე აიტანა, შემდეგ აჰკრა კიდეც, მაგრამ ფიქსირება ვერ შეძლო.

სამჭიდში II ადგილი დაიკავა სმირნოვმა — 460, III — ვ. დიტრიხმა (გდრ) — 445.

გუშინ გაიმართა საშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრება. საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდა ლენინგრადელი გ. სელიცკი. ამავე წონაში გამოდიოდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები — პოლონელი ნ. ოზიმეკი და ჰ. ზდრაჟილა (ჩეხოსლოვაკია). ეს უკანასკნელი კინაღამ გამოეთიშა ტურნირს — აჰქიმვაში მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო საწყისი 130 კგ-ის ფიქსირება. მისმა მთავარმა მეტოქეებმა კი დიდი სიმძიმე დაძლიეს — სელიცკიმ — 157,5 კგ, ოზიმეკმა — 155.

ატაცში ოქრო მოიპოვა ოზიმეკმა. სხვათა შორის, სელიცკიმ, ოზიმეკმა და ზდრაჟილამ ამ მოძრაობაში ერთნაირი შედეგი — 140 კგ აჩვენეს, მაგრამ პოლონელს პირადმა წონამ უშველა.

აკვრაში ოქროს მცირე მედალი ხვდა ზდრაჟილას — 177,5 კგ.

სამჭიდში ევროპის ჩემპიონი გახდა სელიცკი — 472,5. II ადგილზეა ოზიმეკი — 470, III — კ. არნოლდი (გდრ) — 465 კგ.

ხუთი წონის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არიან პოლონელები — 33 ქულა. საბჭოთა ძალოსნებს 28 ქულა აქვთ. III ადგილი უჭირავთ ბულგარელებს — 13 ქულა.

დღეს გაიმართება ქვემძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრება. ერთმანეთს პირველად შეხვდებიან „500-ანთა კლუბის" წევრები ი. ტალტსი, შვედი ბ. იუჰანსონი და ფინელი კ. კაილაიარვი.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორი შედეგის იმედი აქვს ამ ჩემპიონატში, იუჰანსონმა გვიპასუხა, 4 მსოფლიო რეკორდის დამყარებას ვაპირებო. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იუჰანსონის სიტყვები საფუძველს მოკლებული როდია.

ა. მხეიძე.

## ლაპარაკობენ ჩემპიონები

"ლელო" ინტერვიუ

ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა ევროპის ჩემპიონებს და სთხოვა პასუხი გაეცათ რამდენიმე შეკითხვაზე.

**1. რა შედეგებს ელით მეხიკოს ოლიმპიადაში და ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ მეტოქეებად?**

**2. რა არის თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

**3. სპორტის კიდევ რა სახეობებს მისდევთ, ან მისდევდით?**

**ი. ფიოლდი** (უნგრეთი): ოლიმპიადაში გაიმარჯვებს ძალოსანი, რომელიც სამჭიდში 360–365 კგ-ს მოაგროვებს.

რა თქმა უნდა, ა. ვახონინი და აზიის რამდენიმე სპორტსმენი, რომლებსაც ამ შედეგის ჩვენება შეუძლიათ.

მიყვარს მანქანის მართვა. როგორც ყოველი უნგრელი, გატაცებული ვიყავი ფეხბურთით.

**მ. ნოვაკი** (პოლონეთი): მეხიკოში გამარჯვებისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 400 კგ. ამ შედეგის ჩვენება შეუძლია იაპონელ ი. მიაკეს, მაგრამ, ვფიქრობ, მედლებზე არც სხვები იტყვიან უარს.

თავისუფალ დროს მიყვარს ჩემს მეუღლესთან ჰანასთან და ორ ვაჟთან ტრიალი.

არ ვაცდენ ჩოგბურთელთა არც ერთ დიდ შეჯიბრებას.

**ვ. ბაშანოვსკი** (პოლონეთი): მეხიკოს ოქროს მედლისთვის საკმარისი იქნება 440 კგ. მეტოქეები? ჩემი თანამემამულე მ. ზელინსკი, საბჭოთა ათლეტი ნ. ნოგაიცევი, ბულგარელი ქ. ტილევი და რომელიმე იაპონელი ძალოსანი.

მიყვარს ბუნების წიაღში ყოფნა.

ადრე, სიჭაბუკეში, მძლეოსნობით ვიყავი გატაცებული.

**ვ. კურენცოვი** (სსრ კავშირი): მეხიკოში გამარჯვებული უჩვენებს მსოფლიო რეკორდზე უკეთეს შედეგს (ე. ი. 472,5 კგ-ზე მეტს). მიჭირს მეტოქეთა დასახელება.

თავიდანვე გატაცებული ვიყავი ძალოსნობით.

**გ. სელიცკი** (სსრ კავშირი): მეხიკოში საჭირო იქნება 490–495 კგ. მთავარ მეტოქეებად მიმაჩნია უნგრელი დ. ვერეში, იაპონელი მ. ოუტი და, რა თქმა უნდა, საბჭოთა ძალოსანი ვ. ბელიაევი.

მიყვარს ბალალაიკაზე დაკვრა.

მივსდევდი კლასიკურ ჭიდაობას და მძლეოსნობის სახეობებს — 100 მეტრზე რბენას და სიგრძეზე ხტომას.

## მიზანს ვერ მიაღწიეს

საჰაერო კლუბისაკენ

ლეშნო, 24 ივნისი. საპლანერო სპორტში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს: ღია კლასში — ავსტრიელმა ჰ. ვედლმა (5730 ქულა), სტანდარტულში — ე. სმითმა (აშშ, 5595 ქულა). იმედი, რომ საბჭოთა პილოტები ფინიშზე გამოაკეთებდნენ საქმეს წარუმატებელი სტარტის შემდეგ, არ გამართლდა. დასკვნით ვარჯიშში — ლეშნოდან ლოძში 200 კილომეტრზე სწრაფფრენაში ა. ზაიცევი მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მოხვდა და საერთოდ ვერ მიაღწია მიზანს. ამიტომ მან ნოლი მიიღო.

საბოლოოდ, ვ. ჩუვიკოვი და სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში გამარჯვებული ე. რუდენსკი (ღია კლასი) მესამე ათეულში მოხვდნენ (22-ე და 26-ე ადგილებზე შესაბამისად 4605 და 4316 ქულით).

კიდევ უფრო სუსტად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები სტანდარტულ კლასში: ი. კუზნეცოვი 23-ე იყო (4081), ა. ზაიცევი — 49-ე (1980). შეჯიბრებაში კი სულ 57 კაცი მონაწილეობდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ ათეულში შემავალი ყველა სპორტსმენი ახალი უმაღლესი ხარისხის პლასტმასის პლანერებით ასპარეზობდა. მსოფლიო ჩემპიონატისთვის მარტო პილოტების კი არა, სპორტული ტექნიკის მომზადებაც იყო საჭირო.

ბედმა უმტყუნა ტურნირის მასპინძლებს — პოლონელ პლანერისტებსაც. ახლა უკვე მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ი. ვრუბლევსკიმ ღია კლასში მხოლოდ მე-14 ადგილი დაიკავა.

## იანის ლუსისის შუბი — 91,98 მეტრზე

საარიიარვი (ფინეთი), 24 ივნისი. აქ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია რიგელმა მძლეოსანმა იანის ლუსისმა. მისი ნატყორცნი შუბი 91,98 მეტრზე დაეცა, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია. ძველი მიღწევა — 91,72 მ ნორვეგიელ ტ. პედერსენს ეკუთვნოდა.

ამავე შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია 22 წლის ადგილობრივმა სამხტომელმა პ. პოუსიმ — 17 მ. ეს სულ 3 სმ-ით ჩამოუვარდება პოლონელი ი. შმიდტის მსოფლიო რეკორდს.

## იუნიორი მაგალითს იძლევა

ბრიუსელი, 24 ივნისი. (საკდესი). მოსკოველმა საშა ალიპოვმა დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონობა სასტენდო სროლაში. ბელგიაში გამართულ ტურნირში მან 150 შესაძლებლიდან 144 ქულა მოაგროვა ადგილიდან სროლაში.

ერთი ჯილდო რომ მოიპოვა, ალიპოვმა კვლავ გააგრძელა ბრძოლა, რომ მიეღო მოზრდილთა ჩათვლა, რომლებსაც 50 მფრინავი თეფშით მეტი ეძლეოდათ. საშამ მართლაც მიიღო კიდევ ერთი მედალი — ბრინჯაოსი, ამასთან, იგი საუკეთესო აღმოჩნდა თავის გუნდში. ალიპოვის შედეგია 193 ქულა.

უფროსებში ჩემპიონობა ფრანგ მ. კარეგას ხვდა — 195 ქულა. მეორე პრიზიორია იტალიელი ვ. კაშიანო — 193 (მან დამატებით დავაში დაამარცხა ალიპოვი).

გუნდურ ასპარეზობაში პირველი 3 ადგილი ხვდათ: ფრანგებს (567 ქულა), იტალიელებს (564) და საბჭოთა მესტენდეებს (564, მაგრამ ნაკლები შედეგი „ვერცხლისთვის" დამატებით შეჯიბრებაში).

ქალებში ჩემპიონობა მოიპოვა ფონ სოდენმა (გფრ) — 150-დან 140 ქულა. საბჭოთა სპორტსმენი ვ. გერასინა მეორე იყო — 135 ქულა.



## მესამე ტრანსატლანტური...

გრძელდება ერთეულ აფროსანთა მსოფლიოში უდიდესი შეჯიბრება — III ტრადიციული ტრანსატლანტური რბოლა.

რბოლის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა ფრანგი ერიკ ტაბარლი, გამარჯვებული მეორე რბოლაში (1964 წ.), როცა მან ატლანტის ოკეანე 27 დღეში გადაცურა და გააუქმა ცნობილი ინგლისელის ფ. ჩიჩესტერის რეკორდი (38 დღე).

მაგრამ ტაბარლის ბედმა უმუხთლა. მისი კოხტა ნავი „პან დიუიკ-4" დაზიანდა და რბოლის გაგრძელება ვერ შეძლო. ტაბარლი იძულებული შეიქნა ინგლისის ნაპირებს დაბრუნებოდა. მის კვალდაკვალ შეჯიბრებას გამოეთიშა კიდევ რამდენიმე კაცი. ამასობაში ლიდერობა ხელთ იგდო ფრანგმა ალან გლიკსმანმა თავისი „რაფით".

ამ პოპულარულ და რთულ ასპარეზობაში თვითეულს თავისი საკუთარი მარშრუტი აქვს, რომელიც ნავის გამძლეობის მიხედვით ირჩევა: უფრო მოკლე ჩრდილოური მარშრუტები უხვია აისბერგებითა და სხვა დაბრკოლებებით, სამხრეთ განედებზე გამავალი მარშრუტები უფრო ხანგრძლივი, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაკლებ სახიფათოც არის.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მესამე ტრანსატლანტური რბოლის სტარტი. წინა პლანზე — ე. ტაბარლის ნავი „პან დიუიკ-4".

ფოტო „სანდი ტაიმს" — ააჩ-ისა.

## ჩემპიონატი -68



ფრე ლენინგრადში

### გუშინ...

ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ადგილობრივი „ზენიტი" შეხვდა თბილისის „დინამოს". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საამაყო საქმეთა მჭედლები

# შრომაც იციან, დასვენებაც



ს უ რ ა თ ზ ე: ქობულეთის 1-ლი საშუალო სკოლის კალათბურთელთა წვრთნა.

ფოტო ო. გელაშვილისა.

თავის დროზე ჩადრმა საგრძნობლად შეუშალა ხელი აჭარელ ქალებში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას. ჩადრის წინააღმდეგ ბრძოლა ათობით წელიწადს გაგრძელდა. ჟამმა და შეუპოვრობამ თავისი გაიტანა. დღეს ჩვენს მოწინავე სპორტსმენებში ბევრი ქალია.

...თავდაპირველად აჭარელმა ქალებმა უფრო იოლი სახეობები აირჩიეს, მაგრამ ბოლო წლებში სურათი შეიცვალა. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში რაიონის სპორტკავშირმა გუნდები აჭარის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში დააკომპლექტა.

აჭარის შარშანდელ საიუბილეო ტურნირში ჩვენი რაიონის სპორტსმენებმა უპირატესობა მხოლოდ ბათუმის გუნდებს დაუთმეს და საერთო II ადგილი მოიპოვეს. ქობულეთელებს ბადალი არ ჰყავდათ ველოსპორტში, კალათბურთელები, ფრენბურთელები, ძალოსნები და მძლეოსნები კი II ადგილებზე გავიდნენ. აჭარის ნაკრებში, რომელიც საქართველოს სპარტაკიადაში მოსკოვის საგზურისთვის იბრძოდა, 17 ქობულეთელი იყო.

ადრინდელ წარმატებაზე ლაპარაკით თავს არ შევაწყენთ. საკმარისია ითქვას, რომ წლეულს, განვლილ ხუთ თვეში ჩვენმა მძლეოსნებმა მოიგეს აჭარის კროსი, „კოლმეურნის“ ხელბურთელებმა კი საოლქო საბჭოს პირველობა. ქობულეთელი ველოსიპედისტებით იყო დაკომპლექტებული „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს გუნდი, რომელმაც გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ თასი დაისაკუთრა. მოსწავლეთა საოლქო სპარტაკიადაში ქობულეთის გუნდი ოდნავ ჩამორჩა გამარჯვებულს — ქ. ბათუმის კოლექტივს; ჩვენი სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა ამ ტიპის სასწავლებლების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს. კიდევ ერთი: რაიონის ქალთა ახლახან დამთავრებულ I სპარტაკიადაში 8 ფიზკულტურული კოლექტივის 600-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ქობულეთის რაიონის 103 ფიზკულტურულ კოლექტივში 17 ათასამდე კაცია გაერთიანებული. მათ განკარგულებაშია ფეხბურთის 13 მინდორი, კალათბურთის 34 და ფრენბურთის 102 მოედანი, 5 დარბაზი, ხელბურთის ათობით მოედანი. მიმდინარეობს ქობულეთის სტადიონის რეკონსტრუქცია, რომელსაც ექნება ტრიბუნები 12 ათასი მაყურებლისთვის, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, 80-ადგილიანი სასტუმრო, გასახდელები, საშხაპეები, დარბაზები სხვადასხვა სექციისთვის. სულ მალე ცეკავშირის დასასვენებელ სახლში მწყობრში ჩადგება 25-მეტრიანი დახურული აუზი — რაიონში საწყლოსნო სახეობების პირველი ბაზა.

საიუბილეო წელიწადს ფიზკულტურული კოლექტივების ნაყოფიერმა მუშაობამ რაიონის სპორტკავშირს საშუალება მისცა ვადამდე და გადაჭარბებით შეესრულებინა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა. შარშან ქობულეთში 2 სპორტის ოსტატი, 12 პირველთანრიგოსანი, 80 მეორე, 560 მესამე და 685 მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი უნდა მოგვემზადებინა, სინამდვილეში კი ხუთმა შეასრულა სპორტის ოსტატის, 19-მა პირველი თანრიგის, 101-მა მეორე თანრიგის ნორმატივი. მნიშვნელოვნად გადავაჭარბეთ სხვა თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების გეგმა-ვალდებულებებსაც.

ეს წარმატება საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სპორტულ, საშუალო და რვაწლიან სკოლებში იჭედებოდა. შარშან განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ბობოყვათისა და ფიჭვნარის კოლმეურნეობების, ჩაქვის, ოჩხამურისა და ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების, გელაურისა და აჭყვის ჩაის ფაბრიკების, სკოლა-ინტერნატის, ქალაქის 1-ლი და მე-2, ხუცუბნის საშუალო სკოლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. მარტო ბობოყვათში (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შ. მახაძე), სადაც მეთოდისტად სპორტის ოსტატი ჯ. მანელიშვილი მუშაობს, 2 სპორტის ოსტატი (თავისუფალ ჭიდაობაში), 10 პირველი და 19 მეორე თანრიგის სპორტსმენი მომზადდა. გუნდები 13 სახეობაში ჰყავთ, ყველაზე კარგი მაჩვენებლები კი მოჭიდავეებსა და ლელობურთელებს აქვთ.

შემთხვევით როდი იყო, რომ ჩაის მკრეფავთა საწარმოო ტანვარჯიში ჩვენს ქვეყანაში პირველად ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაინერგა. ახლა ამ ღონისძიებაში 200-ზე მეტი მკრეფავია ჩაბმული. მეურნეობაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ი. ფუთურიძე უძღვება, ფიზიკური კულტურა დიდი პოპულარობით სარგებლობს. ველოსპორტის, ფრენბურთის, სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ძალოსნობის, კალათბურთისა და სხვა სახეობების სექციებში შარშან 1 სპორტის ოსტატი, 3 პირველი, 13 მეორე და 36 სხვა თანრიგების სპორტსმენები აღზარდეს. ფიზკულტურელთა განკარგულებაშია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის კარგი მოედნები. მეურნეობამ სოფელს ახალი სკოლა აუგო, რომელსაც შესანიშნავი სპორტდარბაზიც აქვს. მაგრამ ამას როდი დასჯერდნენ. ამას წინათ ბათუმში გამართული ზონალური თათბირის პასუხად (თათბირმა მოისმინა აქულად კულტმასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საკითხი) მეურნეობის დირექციამ გადაწყვიტა 12 ათასი მანეთი გაიღოს სპორტული ბაზების კეთილმოწყობისთვის.

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლამ ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე ახალი ამოცანები დააყენა და ჩვენც მათი გადაწყვეტისთვის სათანადო ღონისძიებანი დავსახეთ — შევიმუშავეთ რაიონულ სპორტღონისძიებათა სპეციალური კალენდარი, რომელიც ითვალისწინებს ტურნირებს თევზაობაში, ორდღიან ტურისტულ ლაშქრობებს, შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის რაიონულ დათვალიერებას მოსავლის აღებასთან დაკავშირებით, უფროსი და საშუალო ასაკის მშრომელთა რაიონულ სპარტაკიადასა და სხვ.

ერთი სიტყვით, საამაყო ბევრი გვაქვს, მაგრამ ზოგიერთი ხელშემშლელი მიზეზი რომ არა, უფრო მეტ წარმატებას მივაღწევდით. დავიწყოთ მოზარდებთან მუშაობით. ქობულეთში განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის 12 ჯგუფია შექმნილი. აჭარის განათლების სამინისტროს მეთოდურმა კაბინეტმა ამ ჯგუფების გახსნისას რაიონის სპორტკავშირის მოთხოვნები და აქაური მოსწავლეების ინტერესები რატომღაც არ გაითვალისწინა. ქობულეთში მძლეოსნობისა და ფეხბურთის უამრავი მოყვარულია და მათ თითო ჯგუფი, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს. სპორტსკოლას არა აქვს ცხელი შხაპი, ველოსიპედისტებს — ინვენტარის საკმარი მარაგი.

რაიონის განათლების განყოფილება ვიწრო საუწყებო ინტერესებით იფარგლება და იმ მოსწავლეებს, რომლებიც რაიონის სხვა ნაკრებ გუნდებში გამოდიან, ტურნირებში მონაწილეობის უფლებას არ აძლევს. უამისოდ თანრიგის ამაღლება არ ხერხდება. ბავშვები გამოსავალს იმაში პოულობენ, რომ სასწავლებლად ბათუმში მიდიან. მაგალითად, შარშან 1-ლი სკოლიდან ბათუმში გადავიდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ტ. გაგუა და ო. სალუქვაძე, რომლებმაც უკვე წლეულს საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს ჭაბუკთა შორის. ეს პირველი შემთხვევა როდია. ამას დავუმატოთ, რომ განათლების განყოფილება „კოლმეურნის“ რაისაბჭოს საშეფო მუშაობის უფლებას არ აძლევს სკოლებში.

მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ხალისა და ალამბრის საშუალო სკოლებში, ალამბრის, ქვედა კვირიკეს, ზენითის კოლმეურნეობებში, მუხაესტატესა და ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, ოჩხამურისა და მუხაესტატეს ჩაის ფაბრიკებში. მათ არც სრულყოფილი ბაზები აქვთ, არც ღონისძიებებში მონაწილეობენ და, ცხადია, გეგმებსაც ვერ ასრულებენ.

რაიონში 2 სანატორიუმი და 9 დასასვენებელი სახლია, სრულყოფილი სპორტული ბაზები და ინვენტარი კი მხოლოდ ცეკავშირის დასასვენებელ სახლს აქვს.

ძალიან გვიშლის ხელს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის განკუთვნილი სახსრების სიმცირეც. ბოლო 15 წელიწადში ფიზკულტურელთა რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა, სპორტკავშირის ბიუჯეტი კი უცვლელია. სათქმელია, მაგრამ „კოლმეურნის“ ქობულეთის რაისაბჭოს იურიდიული საწევრო ანარიცხების მხოლოდ 35 პროცენტი რჩება, საქართველოს სხვა რაიონებში კი საზოგადოების საბჭოებისთვის 50 პროცენტია განკუთვნილი.

ი. მჟავანაძე,
ქობულეთის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.



„კოლმეურნის“ ველოსიპედისტები სავარჯიშოდ მიემართებიან.



ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ჩახუნაშვილი მეცადინეობაზე.

## გმირთა სოფელში

ხუცუბნის კოლმეურნეობა, რომელსაც 12 სოციალისტური შრომის გმირის რაზმის ერთ-ერთი წევრი ვ. ბაჯელიძე უძღვება, შარშან ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ეს ჯილდო კოლმეურნეთა გარჯის შედეგია, მაგრამ თავდადებული შრომა სპორტის სიყვარულს როდი უშლის ხელს. კოლმეურნეობაში 17 სახეობაა დანერგილი, გვყავს გუნდები ფრენბურთში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ლელოში, სროლასა და სხვა სახეობებში. ლელობურთელებმა შარშანწინ ჯერ რაიონის ჩემპიონობა მოიპოვეს, შემდეგ აჭარისა და საქართველოს პირველობა; ფეხბურთელებმა რაიონში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს, აჭარის ჩემპიონატში კი III ადგილზე გავიდნენ.

წარმატება კეთილმოწყობილმა ბაზებმა და საზოგადოებრივი კადრების უნარიანმა მუშაობამ განაპირობა. შარშანწინ მეთოდისტ ამირან ემირიძის თაოსნობით ყველა ჯგუფში რეგულარულად ტარდებოდა ვარჯიში და გეგმებიც გადაჭარბებით გავანაღდეთ. შარშან ემირიძე დროებით სხვაგან წავიდა სამუშაოდ. ფიზკულტურულ კოლექტივში საქმიანობა არ შეწყვეტილა, მაგრამ ტემპი მაინც შენელდა. წლეულს მეთოდისტი ისევ დაგვიბრუნდა და სპორტული ცხოვრებაც გამოცოცხლდა. საშუალო სკოლას კარგი სპორტდარბაზი ავუგეთ, სანაცვლოდ, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. მიქაძე კოლმეურნე ფიზკულტურელებს ამოუდგა მხარში.

კოლმეურნეობის გამგეობას განზრახული აქვს კიდევ უფრო უკეთ მოაწყოს სპორტული ბაზები, უფრო ფართოდ გაშალოს სექციების მუშაობა და სპორტული კლუბის სახელის მოპოვებისთვის იბრძოლოს.

ა. ჩელებაძე,
ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

## დავიბრუნებთ უძლიერესის სახელს

ფიზკულტურული კოლექტივის ძალას კეთილმოწყობილი ბაზები, სპორტსმენებისა და გუნდების კარგი მომზადება განსაზღვრავს. ამიტომ ჩვენს მუშაობაში მთავარ ყურადღებას სწორედ ბაზების მოწყობასა და მაღალთანრიგოსანთა აღზრდას ვუთმობთ.

სკოლის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია დარბაზი, ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედნები, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის სექტორები. ახლოა ქალაქის სტადიონიც, რომლის რეკონსტრუქცია ჩვენც დიდად შეგვიწყობს ხელს.

პედაგოგიური კოლექტივის მხარდაჭერით ძლიერი გუნდები შევქმენით და მოსწავლეთა რაიონულ შეჯიბრებებში კარგა ხანია უძლიერესის სახელი მოვიხვეჭეთ. პირველობას ქალაქის მე-2 სკოლა გვეცილება. თუ გადავხედავთ ბოლო წლებში გამართული რაიონული ტურნირების შედეგებს, უპირატესობა ჩვენს მხარესაა, მაგრამ მოსწავლეთა წლევანდელ სპარტაკიადაში, რომელშიც 21 გუნდი გამოდიოდა, მე-2 სკოლამ 1 ქულით გვაჯობა.

ახლა რევანშისთვის ვემზადებით. კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ხელბურთში, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთსა და ჭადრაკში 207 მოსწავლე ვარჯიშობს. გვყავს რაიონისა და აჭარის ჩემპიონები.

ჩვენი ამოცანაა დავიბრუნოთ რაიონში უძლიერესის სახელი და რაც შეიძლება მეტი შევსება მივცეთ ქობულეთის მოსწავლეთა ნაკრებს.

გ. ჩახუნაშვილი,
ქობულეთის 1-ლი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

## საქმიანობა არ წყდება

ჩაის № 2 ფაბრიკაში სეზონური სამუშაოა. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ზამთრობით საგრძნობლად მცირდება, მაგრამ ამ დროს მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა როდი წყდება. საწარმოს ხელმძღვანელობის (დირექტორი ქ. გუგუნავა) მხარდაჭერით მოვაწყვეთ ფრენბურთის მოედანი, ახლა ვაკეთებთ მარტივი ტიპის ფეხბურთის მინდორს, გვაქვს სხვადასხვა ინვენტარი და შეჯიბრებებსაც ხშირად ვმართავთ.

ჩაის კრეფის სეზონში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ საწარმოო ტანვარჯიშს. ამ პერიოდში აგრეთვე ვატარებთ ტურნირებსა და მატჩებს მეზობელ კოლექტივებთან. ყოველივე ეს ხელს უწყობს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულებას. საქმეს ისიც გვიადვილებს, რომ ჩაქვის ჩაის ფაბრიკასთან გაჩაღებული გვაქვს სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი კოლექტივში ფიზკულტურული მუშაობის დონის ამაღლებასაც ითვალისწინებს.

ნ. თავართქილაძე,
საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი.

## ერთადერთი...

საქართველოში ველოსპორტის განვითარებისთვის ყველაზე უკეთესი პირობები ზღვისპირეთში, განსაკუთრებით კი, ქობულეთშია. აქაური სპორტსმენების განკარგულებაშია ფოთისკენ გაშლილი გზატკეცილი, ბათუმისა და მახარაძისკენ კი მთიანი გზა. ბუნების ამ წყალობას კარგად იყენებენ სპორტული სკოლისა და „კოლმეურნის“ ჯგუფები. ცენტრალურმა საბჭომ მათ ნორმალური წვრთნის ყველა პირობა შეუქმნა და შედეგმაც არ დააყოვნა. ახლა ჩვენს გუნდში 4 ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი და 7 პირველთანრიგოსანია. ქობულეთის ველოსიპედისტები აჭარის ჩემპიონები და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ორგზის ჩემპიონები არიან.

წარმატებას სრულწლიური წვრთნით ვაღწევთ. მეცადინეობისას დამხმარე და სპეციალურ ვარჯიშებს ვიყენებთ. რაც მთავარია, არ ყოფილა შემთხვევა, რომ სექციის წევრებს რეჟიმი დაერღვიოთ. ერთადერთი, რაც ხელს გვიშლის, ესაა მოტოციკლის უქონლობა. უიმისოდ ძირს სავარჯიშოდ წასული ველოსიპედისტებისთვის ყურადღების მიქცევა.

ა. მოგულევი,
გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

## ლელო რეგბის რეზერვია

ლელო ჩვენს რაიონში უაღრესად პოპულარულია — მას თითქმის ყველა სოფელში თამაშობენ. „კოლმეურნის“ რაისაბჭოს შარშანდელ ჩემპიონატში 12 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. ბობოყვათელებმა ჯერ ამ შეჯიბრებაში აჯობეს ყველას, შემდეგ აჭარის ჩემპიონობა დაისაკუთრეს, რესპუბლიკურ ასპარეზობაში კი IV ადგილს დასჯერდნენ.

საქართველოს სპორტკავშირი სწორად მოიქცა, როცა ამ სახეობაში ეროვნული სპორტის ოსტატის წოდება დააწესა. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ლელოს განვითარებას, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ჩემპიონატის შეხვედრები სხვადასხვა ქალაქში ეწყობოდეს. გადასასინჯია შეჯიბრების წესები, ასამაღლებელია მსაჯთა კვალიფიკაცია. ამას გარდა, სპორტსმენებს უკეთესი ფიზიკური მომზადება, გუნდებს კი მეტი ტაქტიკური სრულყოფა უნდა მოვთხოვოთ. ლელობურთელთა შორის ხომ კარგი რეგბისტების აღზრდა შეიძლება, ქართული რეგბი კი საკავშირო სარბიელზე გავიდა და მას სათანადო შევსება სჭირდება.

ჯ. მანელიშვილი,
ბობოყვათის გუნდის მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ნერვებმა უმტყუნა

ეს უჩვეულო შეჯიბრება გახლდათ. გასულ შაბათ-კვირას მოსკოვის ცენტრალური სტადიონის მძლეოსნური სექტორები მხოლოდ მორბენლების განკარგულებაში იყო. გაზეთ „პრავდას" პრიზზე გამართულმა პირველმა საერთაშორისო ტურნირმა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, აგრეთვე, ბულგარეთის, ბელგიის, უნგრეთის, ინგლისის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ათლეტებს მოუყარა თავი.

სტადიონის ახალმა ბილიკმა გამოცდა კარგად ჩააბარა. პირველსავე ფინალში — 100 მეტრზე ქალთა რბენაში ეჭვს მასპინძელს ერთი სტუმარი — ს. ტელიე (საფრანგეთი) ებრძოდა გამარჯვებისთვის. სწორედ მან ისახელა თავი — 11,7 წამი აჩვენა და „პრავდის" პირველი პრიზიც დაისაკუთრა. ვ. პოპკოვა გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა.

შემდეგ სასპარეზოდ ვაჟები გამოვიდნენ. მოსკოველ ვ. სინიაევს, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენს, ბელორუსიელ ვ. საპეიას და ნ. ივანოვს (რსფსრ) წინასწარ შეჯიბრებაში ერთნაირი მაჩვენებლები (10,4) ჰქონდათ. ამიტომ პრიზისთვის მთავარი ბრძოლაც სწორედ მათ შორის გაიმართა. სინიაევმა თავისი მაჩვენებელი 0,1 წამით გააუარესა და III ადგილს დასჯერდა, ივანოვმა და საპეიამ დილის შედეგები გაიმეორეს, მაგრამ მკერდით უპირატესობა და პრიზიც ივანოვს ხვდა.

მესამე პრიზი — 400 მეტრზე ქალთა რბენაში — ინგლისელმა ლ. ბოადიმ დაისაკუთრა (53,5), რომელთანაც ლატვიელმა ი. ვერბელემ 0,9 წამი წააგო. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა ჩვენს ქვეყანაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

პირველ დღეს გათამაშებული ორი სხვა პრიზი მოიპოვეს: ფრუნზელმა ლ. ივანოვმა და გორკელმა რ. დისტინოვამ. ივანოვმა მოიგო 10 ათას მეტრზე რბენა — 28.41,8, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია მსოფლიოში წლეულს, დისტინოვამ ყველას აჯობა კილომეტრნახევარზე რბენაში — 4.29.0. ამ დღეს პროგრამის გარეშე მოეწყო შეჯიბრებები 80 და 110 მეტრზე თარჯრბენში.

80 მეტრზე თარჯრბენში მონაწილეთაგან მაყურებელი სამართლიანად მოელოდა მაღალ შედეგებს: ამ სახეობის სტარტზე ხომ ამას წინათ რიგაში გამართული შეჯიბრების გმირებიც გამოდიოდნენ! მაგრამ იმედი სწორედ მათ ვერ გაამართლეს. მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. კორსაკოვა, მისი მთავარი მეტოქე, საქართველოს რეკორდსმენი ლ. იევლევა და სხვანი, რა თქმა უნდა, გამარჯვებას ცდილობდნენ და... სტარტზევე დამარცხდნენ. ცრუ სტარტის გამო მსაჯმა მონაწილენი ხუთჯერ დააბრუნა უკან. ჯერ კორსაკოვა მოიხსნა ასპარეზობიდან, შემდეგ მისი ბედი გაიზიარა იევლევამაც. უფავორიტო ბრძოლაში საშუალო შედეგით გაიმარჯვა უკრაინის რეკორდსმენმა გ. ზარუბინამ — 10,9.

ნერვებმა უღალატა ვ. ჩისტიაკოვსაც. რიგაში მან ჩვენი ქვეყნის რეკორდი (13,7) გაიმეორა 110 მეტრზე თარჯრბენში, ამჯერად კი ნერვიულობდა და ორი ცრუ სტარტის გამო ასპარეზობას გამოეთიშა. გამარჯვება დარჩა სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. ბალიხინს (ბელორუსია) — 13,9.

პრიზებისთვის ბრძოლა მეორე დღეს ახალი ძალით გაჩაღდა. 800 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა 20 წლის კიეველმა ე. არჟანოვმა, რომელმაც დაამყარა იუნიორთა საკავშირო რეკორდიც — 1.48,7. ეს გამარჯვება მით უფრო სასიამოვნოა, რომ არჟანოვმა მოუგო ევროპის რეკორდსმენს 880 იარდზე რბენაში, ინგლისელ ქ. კარტერს.

„პრავდის" მეშვიდე პრიზიც ჩვენს ქვეყანაში დარჩა: 5000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა სსრ კავშირის რეკორდსმენმა ა. მაკაროვმა (სვერდლოვსკი) — 13.58,0.

ამ დღეს „პრავდის" პრიზები გათამაშდა ქალებისთვის 200 და 800, ვაჟებისთვის 200 და 1500 მეტრზე რბენაშიც. 800 მეტრზე შეჯიბრება მოიგო მოსკოველმა ა. კოლესნიკოვამ — 2.06,2, 1500 მეტრზე გაიმარჯვა მ. ჟელობოვსკიმ — 3.44,4. 200 მეტრზე რბენაში პრიზები წილად ხვდათ ინგლისელ რ. სტინსა (21,0) და სარატოველ სტუდენტ ქალს ნ. ბურდას — 23,8.

# სპარტაკიადის XX დღიური

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მეათე დღეს ასპარეზობდნენ ჩოგბურთელები, მძლეოსნები, ფეხბურთელები, მხატვრული ტანმოვარჯიშეები და წყალბურთელები, მეთერთმეტე დღეს — ჩოგბურთელები, ფეხბურთელები, წყალბურთელები და მოჭადრაკენი, გუშინ კი, მეთორმეტე დღეს, შეჯიბრებაში ჩაებნენ ჩოგბურთელები, წყალბურთელები და მოჭადრაკენი.

ფეხბურთელთა ბოლო ორი ტურის მატჩების შედეგები ასეთია: თბილისი — აფხაზეთი 3:0, ქუთაისი — ცხაკაია 2:1, აჭარა — რუსთავი 3:0, ცხინვალი — სამტრედია 4:0, თბილისი — აჭარა 2:0, ქუთაისი — სამტრედია 2:1, აფხაზეთი — სამხრეთ ოსეთი 2:1, რუსთავი — ცხაკაია 3:2. სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ აჭარის, ხოლო III — ქუთაისის ფეხბურთელები.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო თბილისის ნაკრები. II ადგილი წილად ხვდათ აჭარის წარმომადგენლებს, III — აფხაზეთის ნაკრებს.

მხატვრულ ტანვარჯიშში გუნდური პირველობა მოიგეს თბილისელებმა. II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა. პირად ტურნირში ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისელმა მ. ვიშნიაკოვამ — 49,3, პირველთანრიგოსნებში — ქუთაისელმა ნ. გოლოვჩენკომ — 39,0.

წყალბურთელთა II და III ტურის მატჩები ასე დამთავრდა: თბილისი II — აჭარა 3:3, აფხაზეთი — თბილისი III 3:7, თბილისი I — ქუთაისი 8:2, ქუთაისი — თბილისი II 0:2, თბილისი III — თბილისი I 3:4, აჭარა — აფხაზეთი 4:3.

17 სახეობაში შეჯიბრებათა დამთავრების შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილზეა თბილისის ნაკრები — 120 ქულა. შემდეგ მოდიან: აჭარა (97), ქუთაისი (94), აფხაზეთი (93), რუსთავი (55), სამხრეთ ოსეთი (45).

# ერთი ტურნირის შესახებ

„ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებობს მოსამზადებელი სპეციალიზებული ჯგუფები, სადაც მუშაობენ გამოცდილი, შტატში მყოფი მწვრთნელები. ამ ჯგუფების დანიშნულებაა მოამზადონ მაღალი კვალიფიკაციის კადრები ოსტატთა გუნდებისთვის.

მოსამზადებელ ჯგუფებში უმთავრესად გაერთიანებული არიან 12-18 წლის ჭაბუკები, რომელთაგან უფროსები ყოველწლიურად მონაწილეობენ სპეციალურ შეჯიბრებებში. ეს ტურნირები მიმდინარეობს ჯერ რესპუბლიკებში, ხოლო აქ გამარჯვებულნი თამაშობენ საკავშირო ნახევარფინალურ და ფინალურ გათამაშებებში.

რა თქმა უნდა, სპეციალიზებული ჯგუფების შეჯიბრებებს დიდი სარგებლობა მოაქვს და თავისებურ გამოცდას წარმოადგენს ფეხბურთელის „სიმწიფის ატესტატზე", მაგრამ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუ საკავშირო ფედერაცია გარკვეულ ცვლილებებს შეიტანდა ამ ტურნირის ორგანიზაციო სისტემაში.

როგორც ვიცით, ფედერაციის მიერ წინასწარაა დადგენილი ლიმიტი, თუ რომელი რესპუბლიკიდან რამდენი გუნდია დაშვებული საკავშირო ნახევარფინალებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ნახევარფინალები ტარდება ერთ ქალაქში და თანაც შემჭიდროებულ ვადებში. წინასწარი, ე. წ. ზონალური გათამაშებები მინდობილი აქვთ რესპუბლიკურ ფედერაციებს.

საქართველოში გუნდები ორ ზონად არიან დაყოფილი, მაგრამ არა სიძლიერის, არამედ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. ამის შედეგად I ზონაში თავმოყრილია თბილისის ყველა ძლიერი გუნდი, II ზონა კი შედარებით სუსტია.

გარდა ამისა, ჩვენს ზონებში შეჯიბრება მიმდინარეობს ორ თვეზე მეტს და თვითეულ გუნდს კვირაში ერთხელ უწევს თამაში. ნახევარფინალებსა და ფინალში თამაშები კი, როგორც ვთქვით, შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს და ჩვენი გუნდებიც არ არიან მზად ასეთი დატვირთვისთვის. უმჯობესი იქნებოდა ჩვენი ტურნირის მიახლოება საკავშირო გათამაშების პირობებთან.

იმ ასაკის ფეხბურთელებთან, რომლებიც გაერთიანებული არიან სპეციალიზებულ სკოლებში, საგანგებო მიდგომაა საჭირო და მწვრთნელმა განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს როგორც გუნდების დაკომპლექტების, ისე შეჯიბრებათა ჩატარებისადმი.

მაგალითისთვის მოვიყვან, თუ როგორ ხდება ეს რუსთავში. ა. წ. 19 მაისს რუსთავის „მეტალურგის" ჭაბუკი ფეხბურთელები ღებულობდნენ თავიანთ თანატოლებს თბილისის „დინამოდან". „მეტალურგის" მწვრთნელებმა თამაშის დასაწყისი დანიშნეს 18 საათისთვის, სტადიონის დირექციამ კი აფიშებში გამოაცხადა 16 საათი. „მეტალურგის" მწვრთნელებმა თამაშის წინასაღამოს თავიანთი ფეხბურთელები სტადიონის საერთო საცხოვრებელში მოათავსეს დასაძინებლად, თვითონ კი შინისკენ გასწიეს. როგორც მოსალოდნელი იყო, უზედამხედველოდ დარჩენილმა სპორტსმენებმა „მხიარულად" გაატარეს დრო, ამას გარდა, თამაშის დღეს შეუფერებელ დროს ისადილეს.

განა თქმა უნდა, რომ ასეთი „ზრუნვა" ნორჩ ფეხბურთელებზე კარგს არას მოიტანს?

ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა საინტერესო, სასარგებლო და საჭირო საქმეა და იმ სპეციალისტებმა, რომლებიც მას ემსახურებიან, მომავალ ოსტატთა აღზრდისთვის არაფერი არ უნდა დაიშურონ.

**ო. ჯებაშვილი,**
რუსთავის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# გამარჯვებაც ასე უნდა!

გორის „დილა" სულ ახლახან ზონის ლიდერი იყო, მაგრამ გასვლით მატჩებში დაკარგული ქულების შედეგად გუნდმა შესამჩნევად დაიხია გათამაშების ცხრილში. და აი, გუშინწინ გორელებს შინ მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდათ ზონის ლიდერთან — ბელგოროდის „სპარტაკთან".

გასაგებია ის ინტერესი, რომელიც ქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გამოიჩინა ამ მატჩის მიმართ. „დილის" ფეხბურთელებმა ითამაშეს დიდი აღმავლობით და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს.

ანგარიში გაიხსნა მე-15 წუთზე, როცა „სპარტაკის" კარში დაინიშნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა ბურჯანაძემ. შემდეგ ივანოვმა დრიბლინგით აუარა გვერდი სპარტაკელთა რამდენიმე მცველს და წინ გაიყვანა „დილა" — 2:0.

მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. მე-80 წუთზე ბურჯანაძემ ზუსტი დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და წუთიც არ იყო გასული, რომ აბაიშვილმა კიდევ ერთხელ აიძულა ბელგოროდის გუნდი ცენტრიდან დაეწყო თამაში.

4:0. გამარჯვებაც ასე უნდა!

**გ. გოზალიშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
გორი.

* * *

ამავე დღეს გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ს III ზონის გუნდების მორიგი კალენდარული შეხვედრები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „არაზი" (ნახიჭევანი) — „უროჟაი" (სლავიანსკი) 1:1, „დაშკინი" (ზაქათალა) — „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) 1:1, „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „ხიმიკი" (ნევინომისკი) 0:0, „ტორპედო" (არმავირი) — „ურალანი" (ელისტა) 2:0, „უროჟაი" (ლაბინსკი) — „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) 2:0,

## „ბ" კლასი

„უროჟაი" (მაიკოპი) — „უროჟაი" (სვეტლოგრადი) 2:0, „ხიმიკი" (ბალაკოვო) — „ტრუდი" (ენგელსი) 1:0.

წარმატებით ითამაშა საკუთარ მინდორზე გურჯაანის „ალაზანმა", რომელმაც მიიღო ზონის მეორე ლიდერი — კურსკის „შრომითი რეზერვები".

გურჯაანელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

რუსთავის „მეტალურგმა" ამ დღეს შინ მიიღო ორიოლის „სპარტაკი". ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „მეტალურგმა".

* * *

19 ივნისის მატჩები III ზონაში ასეთი შედეგებით დამთავრდა: „უროჟაი" (მაიკოპი) — „ტორპედო" (არმავირი) 0:0, „ურალანი" (ელისტა) — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:1, „უროჟაი" (სვეტლოგრადი) — „დილა" (გორი) 2:3, „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0, „სპარტაკი" (ორიოლი) — „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) 2:0, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „დაშკინი" (ზაქათალა) 5:0, „სპარტაკი" (ბელგოროდი) — „არაზი" (ნახიჭევანი) 3:0, „უროჟაი" (სლავიანსკი) — „ენერგია" (ვოლჟსკი) 1:0, „ხიმიკი" (ნევინომისკი) — „ტრუდი" (ენგელსი) 1:0, „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) — „ხიმიკი" (ბალაკოვო) 0:2.

## მიუხედავად მარცხისა...

ევროპაში ტურნეს განაგრძობს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც გუშინწინ ბრატისლავაში ეთამაშა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს.

ფეხბურთის მოყვარულებმა ეს მატჩი ტელევიზიით ნახეს. მართალია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა წააგეს მატჩი ანგარიშით 2:3, მაგრამ ამ გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ითამაშეს.

მასპინძელთა მხრივ სამივე გოლი გაიტანა ადამეცმა. ბრაზილიელთაგან გოლების ავტორები იყვნენ ნატალი და კარლოს ალბერტო.

## საოცარი შემთხვევა!

ბუენოს-აირესი, 24 ივნისი. (საკდესი). „ყველაზე საშინელი ტრაგედია არგენტინის ფეხბურთის ისტორიაში", — ასე უწოდა რეიტერის სააგენტომ 23 ივნისის მატჩს არგენტინის დედაქალაქის „რივერ-პლეიტის" სტადიონზე. აქ დაიღუპა 71 და დაჭრილია 130 მაყურებელი!

როცა დამთავრდა პოპულარული არგენტინული კლუბების „რივერ-პლეიტისა" და „ბოკა ხუნიორსის" მატჩი (იგი დასრულდა ფრედ — 0:0), ერთ-ერთი გუნდის გულშემატკივრებმა ანთებული გაზეთების „ჩირაღდნები" დაუშინეს ქვედა იარუსებზე მსხდომ თავიანთ მეტოქეებს. მაყურებლები ეცნენ გასასვლელს. უკან მყოფნი აწვებოდნენ წინა რიგებს, ხოლო გასასვლელები ამ დროს დაკეტილი იყო. ამის შედეგად სტადიონზე დაიხოცა ბევრი მაყურებელი და ბევრიც მძიმედ დაიჭრა.

## დიდი ანგარიშით

**კოპენჰაგენი, 23 ივნისი.** დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ დანიისა და ნორვეგიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:1.

## [illegible]

● **ბოლცანო, 23 ივნისი.** ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობის XII ტურში რიგელმა დიდოსტატმა ა. ანდრეიკომ ჩეხოსლოვაკიელ ლ. რეიმანთან გამარჯვებით კიდევ უფრო განიმტკიცა სალიდერო პოზიცია. ჩემპიონატის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, ჰოლანდიელმა ჰ. ვიერსმამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თ. ფერპოსტთან (ბელგია). მსოფლიოს ჩემპიონმა ი. კუპერმანმა (კიევი) მოუგო ავსტრიელ ფელდს, ხოლო ვ. შჩოგოლევმა (მოსკოვი) — ფრანგ რ. დელიომეს. ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ტ. სეიბრანდსმა დაამარცხა იტალიელი ფ. ლაპორტა. ბოლო სამი ტურის წინ ანდრეიკოს 10 ქულა აქვს, კუპერმანს, შჩოგოლევს, ვიერსმასა და სეიბრანდსს — 9-9.

● **მინსკი, 24 ივნისი.** გუშინწინ აქ დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იუგოსლავიის ნაკრები გუნდები, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული კოლექტივი. შეჯიბრების პირველ დღეს მსოფლიოს ჩემპიონმა — სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 105:84 (51:48) დაამარცხა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი — იუგოსლავიის გუნდი. ოლიმპიური თამაშების უცვლელმა ჩემპიონებმა — ამერიკელებმა მოუგეს შეხვედრა ჩვენს ახალგაზრდებს — 84:69 (36:30). შეჯიბრების მეორე დღეს სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა უმცროსი თანამემამულე კოლეგების გუნდი — 96:61 (50:34), ხოლო ამერიკელებმა — იუგოსლავიელები — 82:75 (38:33).

● **მოსკოვი, 24 ივნისი.** სსრ კავშირისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სპორტსმენთა შეჯიბრების ყველა სახეობაში მასპინძლებმა იმარჯვეს. ძიუდოში საბჭოთა არმიელებმა ანგარიშით 6:2 დაამარცხეს მეტოქე, ხელბურთში — 12:11, კალათბურთში — 72:58. ერთი თვის წინათ საფრანგეთში საბჭოთა არმიის მოკრივეებმა, კალათბურთელებმა და ფრენბურთელებმა ისპარეზეს და ახლანდელი შეხვედრა საპასუხო იყო.

● **ტალინი, 24 ივნისი.** ბალტიის XX საიალქნო რეგატა საბჭოთა აფროსნების წარმატებით დასრულდა: მათ ხუთივე კლასში გაიმარჯვეს. საუკეთესონი იყვნენ: მოსკოველები რ. ნოვოდერიოჟკინი („მფრინავი ჰოლანდიელი"), ბ. ბუდნიკოვი („ვარსკვლავისებური") და ი. შავრინი („ურჩხული"), კიეველი ვ. მანკინი („ფინი") და ლენინგრადელი ვ. გორლოვი („5,5"). რეგატაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ფინეთის, შვეციისა და რუმინეთის აფროსნები.

● **სტამბოლი, 24 ივნისი.** საბჭოთა ველოსპორტის ვეტერანმა გ. საიდხუჟინმა (სოჭი) მოიგო საერთაშორისო ველორბოლის — „თურქეთის ტურის" პირველი ეტაპი. სტამბოლიდან თეკირდაგამდე 135-კილომეტრიანი ეტაპის გავლას მან 2 საათი, 53 წუთი და 42 წამი მოანდომა. „თურქეთის ტური" პირველად ტარდება და მასში 13 ქვეყნის 65 სპორტსმენი მონაწილეობს. საიდხუჟინს გარდა საბჭოთა კავშირიდან გამოდიან ნ. ფადეევი (ლიპეცკი), ა. კულიბინი (გორკი) და ე. სავინი (მოსკოვი). ფინიში რბოლისა, რომელიც 1966 კილომეტრია (14 ეტაპი), 7 ივლისს გაიმართება სტამბოლში.

# ტალი — კორჩნოი

დღეს მოსკოვში სტარტს აიღებს ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა პირველი ნახევარფინალური მატჩი საბჭოთა დიდოსტატებს მ. ტალსა და ვ. კორჩნოის შორის. მეტოქენი 10 პარტიას გაითამაშებენ. გაიმარჯვებს ის, ვინც ხუთნახევარ ქულას დააგროვებს. ყაიმის (5:5) შემთხვევაში დიდოსტატები ბრძოლას განაგრძობენ დამატებით ოთხ პარტიაში მხოლოდ ერთი პირობით: პირველ მოგებამდე. თუ ეს პარტიებიც ყაიმით დასრულდა, მაშინ გამარჯვებულს კენჭისყრა „დაასახელებს“.

ტალის სეკუნდანტია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი ა. კობლენცი, კორჩნოისა — დიდოსტატი ს. ფურმანი.

ჩვენი



თითქმის ყველა მოჭადრაკეს ჰყავს ძნელი მეტოქე, რომლის სტილსაც ვერ ეგუება და რომელთანაც ხშირად აგებს. სწორედ ასეთი მეტოქეა ტალისთვის კორჩნოი. სტატისტიკოსებმა დაადგინეს: ყაიმებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მათი შეხვედრების ანგარიშია 8:1 კორჩნოის სასარგებლოდ.

და მაინც, მიმომხილველები თავს არიდებენ პროგნოზს კორჩნოის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ზამთარს ბევერვეიკის საერთაშორისო ტურნირში კორჩნოიმ კვლავ მოუგო ტალს. თავს არიდებენ იმიტომ, რომ სატურნირო ბრძოლა დიდად განსხვავდება მატჩისგან. კორჩნოიმ ყველა პარტია ხომ ტურნირში მოიგო!

დავუმატებთ: ტალს მატჩის თამაშის დიდი გამოცდილება აქვს, კორჩნოიმ კი მისივე სიტყვით, თავისი პირველი მატჩი ს. რეშევსკისთან (აშშ) ითამაშა. სამაგიეროდ, ამ ორთაბრძოლისთვის იგი საგულდაგულოდ მოემზადა და ამერიკელიც იოლად დაამარცხა.

მატჩში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ ბრძოლას. ძნელია ყოველდღე ერთი და იგივე კაცთან ითამაშო. რა თქმა უნდა, კორჩნოისთვის ტალი სასიამოვნო მეტოქეა, მაგრამ აბა, ტალს ჰკითხეთ!.. თუმცა, ყველამ იცის რიგელი დიდოსტატის ნებისყოფის ძალა, ბრძოლაში მისი მდიდარი ფანტაზიის აფეთქება. სწორედ ამის იმედი აქვთ მის ქომაგებს.

კორჩნოი დიდი შინაგანი რწმენის მოთამაშეა. ამიტომაა, რომ იგი თანაბარ პოზიციაშიც გამარჯვებისკენ ისწრაფვის, სიამოვნებს დამქანცველი თამაში. სწორედ კორჩნოის ბრძოლის ამ ხასიათს ვერ ეგუება ტალი. იქ, სადაც მშრალი ტექნიკური თამაშია, ისიც დაცვითი, ტალი ინტერესს კარგავს, უფერულდება და შეცდომებიც მოსდის. კორჩნოიმ თითქმის ყველა პარტია ამ სტილში მოუგო მას.

გაუძლებს თუ არა ტალი ამგვარ თამაშს მატჩში? სხვა გზა არა აქვს, უნდა გაუძლოს, თუ სურს ტ. პეტროსიანთან მატჩის უფლებისთვის იბრძოლოს.

თ. ზიორბაძე.



მ. ტალი



ვ. კორჩნოი





## მოტოციკლი ჩემოდანში

ქალაქ კილის დასავლეთგერმანული ფირმა „პოპე“ გამოვიდა წინადადებით, რომ მოეწყოს პროფესიონალთა საერთაშორისო მოტორბოლა. ერთი შეხედვით აქ არაფერია ახალი.

როგორც გამოირკვა, ფირმის წარმომადგენლები რბოლის მონაწილეებს ერთ აუცილებელ პირობას უსახავენ: თვითეულმა შეჯიბრებაზე მოტოციკლი უნდა მოიტანოს... ჩემოდნით.

„პოპეს“ მოწოდება სულაც არაა გამოწვეული სპორტულ შეჯიბრებათა სიყვარულით. იგი გაცილებით უფრო იოლი ასახსნელია. ფირმამ დაამზადა ახალი მოტოციკლი „მინიმო“, რომელიც მართლაც ადვილად ეტევა ჩემოდანში ან ხელჩანთაში. გამოგონება საკმაოდ ძვირი ღირს — 735 მარკა. კილის ფირმა სწორედ ამიტომ მიმართავს ასეთ რეკლამას.

მინი-მოტოციკლი სულ 25 კილოგრამს იწონის. სტარტისთვის მანქანის მოსამზადებლად სულ რამდენიმე წამია საკმარისი. „მინიმო“ საათში 25 კმ სისწრაფეს ავითარებს. მისი ძრავის სიმძლავრეა 0,7 ცხენის ძალა. 100 კილომეტრზე „მინიმო“ სულ ერთ ლიტრ ბენზინს ხარჯავს.

ფოტო „კვიკ“—აახ-ისა.

## ჩვენს მშობლიურ ქვეყანაში

### ახალი სასახლე

ურალსკის „ტრუბნიკის“ ჰოკეისტთა გუნდმა პირველმა მოსინჯა ყინული სპორტის ახალ სასახლეში, რომელიც პერვოურალსკის მილების ქარხნის სტადიონზე აიგო. სასახლე საზეიმოდ გაიხსნება მეტალურგის დღეს. იგი სპორტული სანახაობების დროს 2,5 ათას მაყურებელს იტევს, საკონცერტო დარბაზად რომ გადაკეთდება, 5 ათასს.

### მოსკოვი — ვოლგოგრადი

22 ივნისს — ჩვენს საზღვრებზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის დღეს — გმირ ქალაქ მოსკოვში სტარტი აიღო ავტომოტოტურისტთა კოლონამ, რომელიც ლეგენდარულ ვოლგოგრადამდე ჩავა საბჭოთა მეომრების საბრძოლო დიდების გზებით. გადარბენის თაოსანია მოსკოვის ავტომოტოტურისტთა კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის გმირი, სპორტის ოსტატი, არტილერიის გენერალ-მაიორი ს. ვოლკენშტეინი.

გადარბენას, რომელშიც ასზე მეტი ავტომანქანა, მოტოციკლი და მოპედია ჩაბმული, მეთაურობს ინჟინერი ე. მაკარსკი. ავტოტურისტთა შორის არიან რევოლუციის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი. ტურისტები გზად გაივლიან ელცში, ვორონეჟში, ბალაშოვსა და სხვა ქალაქებში, ახალგაზრდობას უამბობენ დიდი სამამულო ომის გმირებზე.

## საათი!

◆ **ვარნა, 24 ივნისი.** სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ ისევ დაამარცხა ბულგარეთის ეროვნული გუნდი. ამჯერად მატჩის ანგარიშია 71:54 (20:26).

◆ **ბერგამო, 24 ივნისი.** იტალიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 22 წლის ჰოლანდიელმა მძლეოსანმა ქალმა ი. კაიზერლამანმა 800 მ 2 წუთსა და 3,8 წამში გაირბინა, რაც მესამე შედეგია წლეულს ევროპაში.

◆ **პარიზი, 24 ივნისი.** საფრანგეთისა და გფრ-ის მძლეოსანთა მატჩში 22 წლის ფრანგმა ჟაკ პანიმ თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში — 820 სმ. ეს ევროპაში წლეულს ყველაზე გრძელი ნახტომია. საფრანგეთის ახალი რეკორდის მფლობელი გახდა აგრეთვე 39 წლის პიერ კოლნარი. მისი შედეგი ბირთვის კვრაში 19,28 მეტრია.

◆ **სტოკჰოლმი, 24 ივნისი.** ჭოკით ხტომაში შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა 20 წლის ჩელ იზაკსონმა — 505 სმ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## გუშინ...

საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა იაპონიის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი, რომელიც ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში მორიგ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს ჩვენს მოჭიდავეებთან. ჩამოსულთა შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი ათლეტები, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ისაო ინოკუმა და ისაო ოკანო, მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონი იოსიო სონოდა, მსოფლიო ჩემპიონი ეიძი მარუკი და სხვ.

თბილისში ჩამოსვლამდე იაპონელმა ძიუდოისტებმა უკრაინის ნაკრებთან მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს — 8:1. მხოლოდ მძიმე წონის ათლეტმა ვ. გუცმა შეძლო მსოფლიოს სტუდენტთა ექს-ჩემპიონის მისატოსი სინომაკის დამარცხება, ხოლო ამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონმა ვ. საუნინმა ფრედ დაამთავრა ორთაბრძოლა ტომოიუკი კავაბატისთან (ფრედ დამთავრებული შეხვედრა ანგარიშში არ შედის).

## რბოლამ საზღვარი გადაკვეთა

**ვარშავა, 24 ივნისი.** ბალტიისპირეთი მე-4 ველორბოლის — „მეგობრობის“ მონაწილეებმა საზღვარი გადაკვეთეს და პოლონეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ. მეშვიდე ეტაპი: დრუსკინინკაი — ბელოსტოკი (122 კმ) მოიგო სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრმა ვ. ნელიუბინმა.

გუნდურ და პირად ჩათვლაში არაფერი შეცვლილა. კვლავ ლიდერობს ხარკოველი ა. ზახაროვი, რომელმაც ნელიუბინი 1 წუთითა და 46 წამით ჩამოიტოვა. გუნდურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე არიან საბჭოთა ოლიმპიელები, II — ლიტვის, III — პოლონეთის სპორტსმენები. (პაპ).

ლვოვი, 24 ივნისი. გუშინ ამ ქალაქის მიდამოებში გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოტოკროსში „500-ანების“ კლასში. ეს იყო პირველობის დასკვნითი ეტაპი (მანამდე მოტოკროსმენები ასპარეზობდნენ სუმგაითში, თბილისსა და ივანო-ფრანკოვსკში). ლვოვში მოასპარეზეები, ფაქტიურად, მხოლოდ II და III საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ, ვინაიდან რიგელმა გ. დრაუგსმა ადრევე გაინაღდა ოქროს მედალი. 14 ქულით ვერცხლი მოიხვეჭა ა. ლებედევმა. III ადგილზეა ი. მატვეევი (12 ქულა). ტრასაზე არ გამოსულა დაშავებული ვ. არბეკოვი, დრაუგსი კი უფრო მსუბუქ მოტოციკლზე გადაჯდა და მონაწილეობა მიიღო ამავე დღეს აქ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის IX ეტაპში „250-ანების“ კლასში. ამ საინტერესო შეჯიბრებაში ყველას აჯობა შვედმა ტ. ჰალმანმა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ვ. ბრუნისი (IV ადგილი).

## „ცუდი“ მასპინძლები

**საქართველოს პირველობა წყალბურთში**

გუშინწინ საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. წლებით დაკანონებული „ტრადიცია“ არც ამჯერად დარღვეულა: გათამაშებაში გამოდიან ერთი და იგივე კოლექტივები — თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის წარმომადგენლები. დედაქალაქის სპორტულ ღირსებას იცავენ „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები.

პირველ დღეს სტუმრებს მასპინძელთა გუნდები შეხვდნენ. პირველად ითამაშეს „დინამოსა“ და ქუთაისის კოლექტივებმა. „დინამომ“ ბრძოლაში ჩაამა ახალგაზრდობა. გუნდის მოწინავე მოთამაშეები სარბიელზე არ გამოსულან და მოსალოდნელი იყო, რომ ქუთაისელები ერთგვარ წინააღმდეგობას გაუწევდნენ მეტოქის ახალგაზრდულ კოლექტივს. მაგრამ ასე არ მოხდა. სტუმრები ძალიან უსუსურად თამაშობდნენ. მათ მეკარესთან ძალიან ხშირად 3-4 თბილისელი რჩებოდა პირისპირ და ქუთაისელთა კარის დარაჯი, რასაკვირველია, უძლური იყო „დინამოს“ ჭარბი ძალების წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 6:0. მაყურებლები ხუმრობდნენ: მეტი რა მოეთხოვებათ რიონში ნავარჯიშევ წყალბურთელებსო! ეს მართლაც ასეა. ქუთაისში დღემდე საშველი არ დაადგა საცურაო აუზის მშენებლობის დამთავრებას.

ამ ბოლო ხანს კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს თბილისის „ბურევესტნიკი“, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებითაა დაკომპლექტებული. მწვრთნელმა ზ. ჩაჩავამ ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენებისგან საიმედო მომავლის მქონე გუნდი შექმნა. აფხაზეთის ნაკრებთან მატჩი სტუდენტებმა მეტისმეტად სწრაფად დაიწყეს და პირველი პერიოდი „მშრალად“ (2:0) მოიგეს. მომდევნო პერიოდებიც ბურევესტნიკელთა უპირატესობით წარიმართა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 7:3.

შეჯიბრების პირველ დღეს ყველაზე დიდი ანგარიშით დამთავრდა „ლოკომოტივისა“ და აჭარის ნაკრების მატჩი. რკინიგზელებს სტუმრებმა მხოლოდ პირველ ხუთ წუთში გაუწიეს ერთგვარი წინააღმდეგობა, მერე ფარ-ხმალი დაყარეს და დამარცხდნენ — 3:10.

ზ. ჯანდიერი.

## სპორტულ ბაზაზე

**წყალბურთი.** ზამთრის აუზი. 25-28 ივნისი. საქართველოს ჩემპიონატი. დასაწყისი 17 ს.

**ავტოსპორტი.** თბილისის ზღვის მიდამოები (ხეხილის სანერგე მეურნეობის მოედანი). 25 ივნისი. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ფიგურულ სვლაში. დასაწყისი 10 ს.

**მძლეოსნობა.** „დინამოს“ სტადიონი. 25-26 ივნისი. დინამოელთა საქალაქო პირველობა. დასაწყისი 16 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 27 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა). დასაწყისი 18 ს. 30 წ. „დინამოს“ სტადიონი. 28 ივნისი. სსრ კავშირის თასი. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (როსტოვი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 07591